



ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა
მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრის)
მონიტორინგის ანგარიში

2018 წელი

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) არის გაერთიანებული ერების სააგენტო, რომელიც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის დაარსების მიზანს წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქალთა და გოგონათა ინტერესების დაცვა და მათი პრიორიტეტების დაკმაყოფილება. გაეროს ქალთა ორგანიზაცია მხარს უჭერს გაერთიანებული ერების წევრ სახელმწიფოებს გენდერული თანასწორობის მიღწევის საყოველთაო სტანდარტების შემუშავებაში; თანამშრომლობს მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურების შექმნის პროცესში. გაეროს ქალთა ორგანიზაცია ხელს უწყობს ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა თანაბარ მონაწილეობას და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ხუთ ძირითად მიმართულებაზე: ქალთა ლიდერობისა და მონაწილეობის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა, სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესების ყველა ასპექტში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის პრინციპების, როგორც მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, ინტეგრირება ქვეყნის განვითარების დაგეგმვისა და ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესებში. ამასთან, გაეროს ქალთა ორგანიზაცია ახორციელებს გაეროს სისტემაში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციასა და წახალისებას. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (United Nations) ან რომელიმე მისი წევრი ორგანიზაციის მოსაზრებებს. გამოცემა მომზადდა გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)

სარჩევი

შესავალი	4
მეთოდოლოგია	5
ძირითადი მიგნებები	6
1. ძალადობის მსხვერპლთათვის დაცვისა და დახმარების არსებული სერვისები.....	7
1.1. ძალადობის მსხვერპლის სტატუსის იდენტიფიცირების ჯგუფი და სტატუსის მიღება	8
2. თავშესაფარში განთავსება და პერსონალთან დამოკიდებულება	10
2.1. თავშესაფრის ადმინისტრაცია და პერსონალი.....	13
2.2. თავშესაფრის შინაგანაწესი და მასთან დაკავშირებული საკითხები	15
2.3. ჯანმრთელობის დაცვა.....	15
2.4. საცხოვრებელი პირობები და ჰიგიენა	17
2.5. ფიზიკური გარემო და კვება.....	17
2.6. განათლება და დასაქმება	19
2.7. ფსიქო-რეაბილიტაცია და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება.....	20
3. ოჯახში ძალადობის კრიზისული ცენტრების მომსახურების შეფასება	22
4. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისების შეფასება.....	25
რეკომენდაციები.....	27

შესავალი

ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში ფართოდ გავრცელებულ პრობლემას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გაიზარდა ძალადობის შემთხვევების გამოვლენის მაჩვენებელი, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ გენდერული ძალადობის მსხვერპლებს და დაზარალებულებს დაცვის და დახმარების ადეკვატური მექანიზმები შესთავაზოს.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებები - თავშესაფრები უზრუნველყოფენ უსაფრთხო საცხოვრებელს და მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით მსხვერპლთა გაძლიერებასა და ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციაში. თავშესაფრების მიერ სწორად დაგეგმილ და გამართულ სერვისზეა დამოკიდებული ბენეფიციართა რეაბილიტაცია და ძალადობრივი გარემოსგან თავის დახსნა.

სწორედ ამ მიზნით, 2018 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის ტექნიკური მხარდაჭერით, განახორციელა მონიტორინგი თბილისის და ბათუმის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარი); ასევე, ქუთაისის, გორისა და სიღნაღის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებსა და (თავშესაფარი)თბილისის, გორის და ქუთაისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრებში.

მონიტორინგის ფარგლებში შემოწმდა არსებული სერვისების მიწოდების ხარისხი. აგრეთვე, შეფასდა ბენეფიციართა საჭიროებები და პერსონალზე დაკისრებული უფლებამოსილების შესრულება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბენეფიციართა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამებით უზრუნველყოფის საკითხს და თავშესაფრის დატოვების შემდეგ მათი დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის მზაობას.

გარდა ამისა, მონიტორინგის განხორციელება მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისითაც, რათა მომხდარიყო იმ პროგრესის გაზომვა, რომელიც სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2017 წელს ოჯახში ძალადობისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებისადმი გაცემულ რეკომენდაციებში აისახა.¹

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ოჯახში ძალადობისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით განხორციელებულ მონიტორინგის შედეგების ამსახველ სპეციალურ ანგარიშს.

¹ საქართველოს სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა 2017 წელს განახორციელა ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრის) მონიტორინგი და გასცა შესაბამისი რეკომენდაციები თავშესაფრის ფიზიკური გარემოს, დასაქმების, ფსიქო-რეაბილიტაციის და საგანმანათლებლო პროგრამების სიმცირესთან დაკავშირებით. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <file:///C:/Users/alobzhanidze.OMBUDSMAN.000/Desktop/4617.pdf>

მეთოდოლოგია

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლები სპეციალური რწმუნების საფუძველზე ახორციელებენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრების) მონიტორინგს.² პირველად, მსგავსი მონიტორინგი 2017 წელს ჩატარდა³.

თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების მონიტორინგი მიზნად ისახავს არსებული მდგომარეობის შეფასებას და ბენეფიციარებისთვის მიწოდებული სერვისების ეფექტიანობის შემოწმებას. სახალხო დამცველის მიერ თავშესაფრების მონიტორინგი განხორციელდა არაგემიურად, თავშესაფრის ადმინისტრაციასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე.

მონიტორინგის პირველ ეტაპზე მოხდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების ფიზიკური გარემოს სრული შემოწმება და არსებული მდგომარეობის შეფასება. მონიტორინგის მეორე ეტაპზე, სახალხო დამცველის აპარატმა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისგან გამოითხოვა ინფორმაცია ოჯახში ძალადობისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებით და იქ არსებული მომსახურებებით მოსარგებლეთა სტატისტიკის შესახებ. გარდა ამისა, მოხდა ინფორმაციის გამოთხოვა თავშესაფრებში განხორციელებული ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, კულტურული და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. ასევე, თავშესაფრების პერსონალისა და კრიზისული ცენტრის თანამშრომელთათვის ჩატარებული თემატური ტრენინგების/სემინარების შესახებ.

მონიტორინგის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენდნენ თავშესაფრის სერვისებით მოსარგებლე სრულწლოვანი პირები და იქ დასაქმებული პერსონალი, რომლებთანაც გამოყენებული იყო

² მონიტორინგის განხორციელებისას, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი ხელმძღვანელობს შემდეგი დოკუმენტებით: ა) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრების) მონიტორინგის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპები; ბ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულის ქუთაისის/გორის/თბილისის და სიღნაღის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) შინაგანაწესი; გ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №183/ნ /2008 წლის 28 ივლისი/თბილისი/ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლისა (თავშესაფრისა) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების განსაზღვრის შესახებ; დ) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N437 /2006 წლის 18 ივლისი/ თბილისი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ.

³ ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრის) მონიტორინგის ანგარიში, 2017. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4617.pdf> [ბოლოს ნანახია: 10 ივლისი, 2018 წელი]

ნახევრად დახურული ტიპის კითხვარები. ბენეფიციარების შემთხვევაში, გასაუბრება ხდებოდა ინდივიდუალურად და ჯამში გამოიკითხა 18 ბენეფიციარი.

კითხვარების ფორმულირება შესაძლებლობას ხდოდა შეფასებულიყო, რამდენად ფლობდნენ ბენეფიციარები ინფორმაციას ქვეყანაში არსებული დაცვისა და დახმარების სერვისების შესახებ, როგორია მათი გამოცდილება სერვისებში ჩართვასთან დაკავშირებით, კმაყოფილები არიან თუ არა თავშესაფარში მიღებული სერვისებით და მოხდა თუ არა მათი გაძლიერება.

რაც შეეხება თავშესაფრების ადმინისტრაციის კითხვარს, შედგენილი იყო ინდივიდუალურად თითოეული თანამშრომელისთვის, მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე. პერსონალთან გამოყენებული კითხვარები მაქსიმალურად იძლეოდა შესაძლებლობას, გაანალიზებულიყო თუ როგორია თავშესაფრების პრაქტიკა სერვისებით მოსარგებლე პირების საჭიროებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო თავად პერსონალის ხედვა თავშესაფრებში არსებულ გამოწვევებთან და პრობლემებთან დაკავშირებით.

საბოლოოდ, გამოთხოვილი ინფორმაციისა და დოკუმენტირებული ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი ანგარიში და რეკომენდაციები⁴.

ძირითადი მიგნებები

მონიტორინგმა გამოავლინა, რომ ბენეფიციართა უმეტესობა კმაყოფილია თავშესაფრის მომსახურებით და დადებითად აფასებს ადმინისტრაციისა და პერსონალის ძალისხმევას. გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მსხვერპლები და დაზარალებულები თავშესაფარში თავს გრძნობენ დაცულად და მუდმივად გრძნობენ მხარდაჭერას.

ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისებზე ხელმისაწვდომობის შეფასების შედეგად იკვეთება, რომ გენდერული ძალადობა კვლავ გამართლებულია საზოგადოების მხრიდან და ძალადობის მსხვერპლებს, ძალადობისგან თავის დაღწევის პროცესში მუდმივად ჰქონდათ დაუცველობის და უსამართლობის განცდა. მსხვერპლების/დაზარალებულების გარკვეული ნაწილისთვის ასევე დიდ გამოწვევას წარმოადგენდა სამართალდამცავ უწყებებთან ურთიერთობა, რომელიც განპირობებული იყო მათ მიმართ ნდობის ნაკლებობასთან. ამას ართულებს ის ფაქტიც, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლები ხშირ შემთხვევაში სამართალდამცავი უწყებების მხრიდან ვერ იღებენ ამომწურავ ინფორმაციას ქვეყანაში არსებული დაცვისა და დახმარების მექანიზმების შესახებ, მათ შორის თავშესაფრის სპეციფიკასთან დაკავშირებით.

წინა წლების მსგავსად, პრობლემურია თავშესაფარში განთავსებისთანავე მსხვერპლთა/დაზარალებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება, რადგან თავშესაფარში განთავსებულ პირთა ჯანმრთელობის შემოწმება უმეტესად ხდება ზეპირი

⁴ მონიტორინგი განხორციელდა 2018 წლის მეორე ნახევარში, შესაბამისად ანგარიშის მიგნებები ასახავს აღნიშნული პერიოდის მონაცემებს.

გასაუბრების საფუძველზე, რაც სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების შემთხვევაში რისკის შემცველია თავშესაფარში განთავსებული ბენეფიციარებისა და პერსონალისთვის.

თავშესაფარებში კვლავ პრობლემას წარმოადგენს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამების შეზღუდული რაოდენობა, ზოგიერთ შემთხვევაში კი - მათი არარსებობა. ამასთან, მოუწესრიგებელია ინფრასტრუქტურის საკითხი.

მნიშვნელოვანია თავშესაფარებმა იზრუნონ მსხვერპლთა გაძლიერებაზე განათლების კუთხით, რომელიც ასევე უკავშირდება დასაქმების პროგრამებში ჩართვას და მათი დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის მომზადებას. ამ მიმართულებით, აუცილებელია მოხდეს თავშესაფარების თანამშრომლობის გაღრმავება სხვადასხვა არასამთავრობო და სერვისის მომწოდებელ ორგანიზაციებთან.

1. ძალადობის მსხვერპლთათვის დაცვისა და დახმარების არსებული სერვისები

სახალხო დამცველის აპარატის მიერ თავშესაფარში მყოფ ძალადობის მსხვერპლებთან და დაზარალებულებთან გასაუბრებისას მიღებული ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ მსხვერპლების დიდ ნაწილს დაცვისა და დახმარების სერვისების შესახებ ინფორმაცია თავშესაფარში მოხვედრამდე ნაკლებად ჰქონდათ. ყურადსაღებია, რომ ინფორმაციის ნაკლებობის შესახებ ის მსხვერპლებიც უთითებდნენ, რომელთა საქმის შესწავლის პროცესში სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლები იყვნენ ჩართული. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გამოკითხული ბენეფიციარების უმეტესობისთვის ცნობილი იყო ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის საკითხებზე საკონსულტაციო ცხელი ხაზის შესახებ (116 006).

გამოკითხული ბენეფიციარების უმრავლესობამ მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების არსებული სისტემა დადებითად შეაფასა. თუმცა, ამის მიუხედავად ასახელებდნენ იმ დაბრკოლებებს, რაც ძალადობისგან თავის დაღწევის დროს შეექმნათ. გამოკითხული მსხვერპლების უმეტეს ნაწილს მიმართული ჰქონდა სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებისადმი. სამართალდამცავი უწყებასთან ურთიერთობა მსხვერპლებმა არაერთგვაროვნად შეაფასეს. ნაწილმა მიუთითა პოლიციასთან დადებით გამოცდილებაზე და აღნიშნეს, რომ პოლიცია დაეხმარათ, მათგან მხარდაჭერას გრძნობდნენ და რეაგირება მათი სურვილის შესაბამისად განახორციელდა. ხოლო ნაწილმა პოლიციის წარმომადგენლებთან ურთიერთობის უარყოფით გამოცდილებაზე გაამახვილა ყურადღება, კერძოდ:

მსხვერპლების თქმით, მათ რამდენჯერმე მოუწიათ პოლიციისთვის მიმართვა იმ მიზნით, რომ ძალადობისგან თავის დაღწევა მოეხერხებინათ, რადგან პოლიციას საჭირო ზომები მათ დასაცავად არ მიუღია. გამოკითხვისას ასევე დასახელდა შემთხვევები, როდესაც პოლიციამ პირველ ეტაპზე მსხვერპლს მოძალადესთან შერიგებისკენ მოუწოდა. ასევე, დასახელდა პოლიციის მხრიდან შეურაცხმყოფელი და დამცინავი დამოკიდებულების არაერთი მაგალითი. რამდენიმე მსხვერპლმა აღნიშნა, რომ მათი განცდით პოლიციას „აწუხებდა“

მრავალჯერადი მიმართვით. ასევე დასახელდა პოლიციის მხრიდან ე.წ. „ხელწერილის“ (გაფრთხილების) გამოყენების პრობლემა⁵. ყოველივე ზემოაღნიშნული, მსხვერპლთა / დაზარალებულთა ინფორმაციით წარმოადგენდა მნიშვნელოვან ბარიერს ძალადობისგან დაცვისა და დახმარების სერვისის მიღების კუთხით.

კვლავ პრობლემას წარმოადგენს, მსხვერპლების უსაფრთხოების გრძელვადიანი დაცვა. რამდენიმე მსხვერპლმა აღნიშნა, რომ არ აქვთ დაცულობის განცდა და თავშესაფრის დატოვების შემდგომ აქვთ განმეორებითი ძალადობის შიში.

ამასთან, მიღებული ინფორმაციის ანალიზი აჩვენებს, რომ კვლავ პრობლემად რჩება საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული შეხედულებები, რადგან საზოგადოებრივი წნეხის შედეგად მსხვერპლებისთვის ძალადობისგან თავის დაღწევა ორმაგ ძალისხმევას მოითხოვს. გამოკითხული მსხვერპლები განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამენ, მათი ბიოლოგიური ოჯახის წევრების და ნათესავები მხრიდან მხარდაჭერის არარსებობას. სწორედ არსებული განწყობების გამო, მსხვერპლები რიგ შემთხვევებში უარს აცხადებენ ფაქტის გამჟღავნებაზე, რაც მათ კიდევ უფრო დაუცველს ხდის ძალადობის განმეორებისას.

1.1. ძალადობის მსხვერპლის სტატუსის იდენტიფიცირების ჯგუფი და სტატუსის მიღება

მსხვერპლის სტატუსის იდენტიფიცირების ჯგუფისთვის მიმართვა ფსიქო-სოციალური სერვისებით სარგებლობისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა⁶. მონიტორინგის შედეგად ვლინდება, რომ სტატუსის მიმნიჭებელი ჯგუფის საქმიანობა, დადებითად აისახება ოჯახში ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირების და მსხვერპლთათვის არსებული სერვისების ხელმისაწვდომობაზე. იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლებს სხვადასხვა მიზეზით არ სურთ სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვა, მსხვერპლის სტატუსის მიმნიჭებელი ჯგუფი ერთგვარ ალტერნატივას წარმოადგენს იმისთვის, რომ თავშესაფრის სამართლებრივი თუ სამედიცინო სერვისით სარგებლობა შეძლონ.

მიუხედავად მსხვერპლის სტატუსის იდენტიფიცირების ჯგუფის პოზიტიური როლისა, ჯგუფის მუშაობის მონიტორინგისას გარკვეული ხარვეზები ვლინდება. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის თანამშრომელთა მიერ დასახელდა რიგი შემთხვევები, როდესაც მსხვერპლის სტატუსის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ პირს განესაზღვრა მსხვერპლის სტატუსი, თუმცა თავშესაფარში საქმის შესწავლამ ცხადყო, რომ პირი მსხვერპლი არ იყო. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, არსებობდეს მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ მინიჭებული

⁶ მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი შეიქმნა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მიერ. ჯგუფი შედგება სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი 12 წევრისგან და მის საქმიანობაში ასევე, სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას იღებს სახალხო დამცველის წარმომადგენელი.

სტატუსის გაუქმების პროცედურები, რაც არსებული რეგულაციებით დარეგულირებული არ არის.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია თავად მსხვერპლის სტატუსის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ ხდებოდეს შემოსული საქმეების ანალიზი და ტენდენციების თუ სისტემური ხარვეზების გამოვლენა. თუმცა, მონიტორინგის ფარგლებში სახალხო დამცველის მიერ მოხდა აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვა და დამუშავება, სადაც გაანალიზდა მსხვერპლთა ასაკი, განათლება, ძალადობის ფორმები, მოძალადესთან კავშირი და მიმართვიანობის მაჩვენებელი სამართალდამცავი უწყებებისადმი.

ინფორმაციის ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ მსხვერპლის სტატუსის ჯგუფს უმეტესად მიმართავენ 25-34 ასაკობრივი ჯგუფის ქალები, რომელთაც ესაჭიროებათ ძალადობრივი გარემოსგან თავის დაღწევა. გარდა ამისა, კითხვარებიდან ჩანს, რომ მსხვერპლთა 75%-ს ჰყავს შვილი ან შვილები. რაც შეეხება განათლებას, დაზარალებულთა უმრავლესობა საშუალო განათლების მქონე და არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ქალია. სტატუსის მიმნიჭებელ ჯგუფს ასევე მიმართეს ქვრივებმა, მარტოხელა და განქორწინებულმა ქალებმა. მსხვერპლის სტატუსის მოსარგებლეებს შორის მხოლოდ 1 შემთხვევა იყო, როდესაც ჯგუფს მიმართა ლგბტ+ თემის წარმომადგენელმა.

კითხვარების ანალიზმა ასევე გამოავლინა, რომ ძალადობის მსხვერპლების უმრავლესობა ძალადობას განიცდის ოჯახის წევრის მხრიდან (52%), რასაც მოსდევს პარტნიორის მხრიდან ძალადობა (43%) და ბოლოს, ყოფილი პარტნიორი (5%). აღნიშნულიდან შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ძალადობის მსხვერპლებისთვის ოჯახის წევრის მხრიდან ძალადობის შემთხვევაში, არსებითად მნიშვნელოვანია არსებობდეს ისეთი მექანიზმი, როგორც მსხვერპლის სტატუსის იდენტიფიცირების ჯგუფია, რადგან ოჯახის წევრის მხრიდან ძალადობის შემთხვევაში ნაკლებად ხდება სამართალდამცავი უწყებებისთვის მიმართვა.

ძალადობის მსხვერპლები, ყველაზე ხშირად ჯგუფს მიმართავენ ფსიქოლოგიური დახმარებისა და თავშესაფარში გადაყვანის მიზნით, ასევე მათი საჭიროებები დაკავშირებულია მოძალადის განრიდებასთან და შესაბამისი იურიდიული/სამედიცინო სერვისების მიღებასთან.

კითხვარებში ჭარბობს ფსიქოლოგიური, ფიზიკური, იძულების და ეკონომიკური ძალადობის ფორმები. საყურადღებოა, რომ მსხვერპლის სტატუსის იდენტიფიცირების ჯგუფს არაერთხელ მიმართა ისეთმა პირმა, რომელიც განიცდიდა სექსუალური ტიპის ძალადობას, რისი გამოვლენის მაჩვენებელიც საკმაოდ დაბალია ამ საკითხის ირგვლივ არსებული სტიგმის გამო. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში მნიშვნელოვნად დაიხვეწოს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის და შესაბამისი სერვისებით მიწოდების ხარისხი, რათა მოხდეს მსხვერპლთა დაცვა და დახმარება.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია მომავალში მსხვერპლის სტატუსის იდენტიფიცირების ჯგუფმა შეძლოს მიღებული განაცხადების საფუძველზე აწარმოოს გარკვეული სტატისტიკა და ინფორმაციის ანალიზი, სადაც გამოკვეთილი ტენდენციები შესაძლებელს გახდის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმები დაიხვეწოს იმგვარად, რომ მოერგოს რეალურ საჭიროებებსა და პრობლემებს.

2. თავშესაფარში განთავსება და პერსონალთან დამოკიდებულება

მსხვერპლთა თავშესაფარში განთავსებისას მნიშვნელოვანია მათ ადგილზე დახვდეთ უსაფრთხო და მეგობრული გარემო. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს მსხვერპლთა პირველი შეხება თავშესაფრის პერსონალთან მათ შორის ნდობის ჩამოყალიბების მიზნით. შესაბამისად, ამ თავში ყურადღება მიექცა მსხვერპლთა პირველად შეფასებებს და განცდებს თავშესაფარში განთავსებისას.


თავშესაფრებში ბენეფიციართა მიღება ხდება შემაკავებელი და დამცავი ორდერების, მსხვერპლთა იდენტიფიცირების ჯგუფის დასკვნისა და დაზარალებულად ცნობის საფუძველზე. თავშესაფარში მსხვერპლის მოთავსება ხდება 3 თვემდე ვადით. თავშესაფარში მოთავსების ვადის ამოწურვის შემდეგ და საჭიროების შემთხვევაში ეს ვადა გრძელდება თავშესაფრის წესდებით (შინაგანაწესით) დადგენილი წესით და თავშესაფრის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, რა დროსაც ხდება ბენეფიციარის მდგომარეობის შეფასება და გადაწყვეტილებაში მიეთითება ვადის გაგრძელების საფუძველი. ყოფილა შემთხვევები, როდესაც 1 წლამდე გაუზრდიათ ვადა.

საქართველოს სახალხო დამცველმა ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისგან ასევე გამოითხოვა 2017/2018 წლების სტატისტიკა ბენეფიციართა მიღება/გადინებაზე. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად⁷, 2017-2018 (I კვარტალი) წლებში თავშესაფრებში განთავსებულ ბენეფიციართა საერთო რაოდენობამ შეადგინა 320 (მათ შორის: 135 სრულწლოვანი; 12 არასრულწლოვანი და 173 დამოკიდებული პირი.

2017 წელს თავშესაფრების მომსახურებით ჯამში ისარგებლა 128 პირმა, რომელთაგან 119 ქალი იყო, ხოლო 9 - კაცი. ბენეფიციართა მიღება-გადინების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

⁷ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წერილი #07/800; 29.05.2018

ცხრილი N1: ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებით (თავშესაფრით) და სერვისებით მოსარგებლეთა სტატისტიკა, 2017 წელი



ცხრილიდან ჩანს, რომ ბენეფიციარები ყველაზე ხშირად სარგებლობენ თავშესაფრის სადღეღამისო საცხოვრისით, რასაც მოჰყვება ფსიქო-სოციალური და სამართლებრივი კონსულტაცია. ყველაზე ნაკლებად, მსხვერპლები სამედიცინო მომსახურებით სარგებლობენ, რაც ასევე პრობლემად გამოიკვეთა მონიტორინგის განხორციელებისას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ თავშესაფრებმა მსხვერპლებს არ შესთავაზონ მხოლოდ საცხოვრებელი სივრცე და მათი ძალისხმევა გაიზარდოს სხვადასხვა სერვისების შეთავაზების კომპონენტში, რაც ასევე გავლენას იქონიებს მსხვერპლთა ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციაზე.

მონიტორინგის ფარგლებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისგან მოხდა ინფორმაციის გამოთხოვა, რომელიც ეხებოდა ბენეფიციართა თავშესაფრის დატოვების საფუძველს. მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა⁸, რომ 350 ბენეფიციარიდან, რიგ შემთხვევაში თავშესაფრის დატოვების საფუძველს წარმოადგენდა ვადის ამოწურვა. ამასთან, საყურადღებოა, რომ 179 ბენეფიციარი გადავიდა ნაქირავებ ბინაში, 91 მათგანი დაბრუნდა ბიოლოგიურ ოჯახში და 36 დაუბრუნდა პარტნიორს. თავშესაფრის დატოვების საფუძველებში ასევე მითითებულია მეგობრის ოჯახში გადასვლა, დედათა და ბავშვთა თავშესაფარში გადასვლა, საზღვარგარეთ წასვლა და ა.შ. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მხოლოდ 1 ბენეფიციარი ამოირიცხა თავშესაფრიდან შინაგანაწესის დარღვევის გამო.

აღსანიშნავია, რომ ყველა თავშესაფარი უზრუნველყოფილია ძიძით და საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნით. ბენეფიციარებს სურვილის შემთხვევაში სასურველი რელიგიური რიტუალის ჩატარების უფლება აქვთ საკუთარ ოთახში.

ბათუმის თავშესაფარს ერთდროულად 5 სრულწლოვანი და 10 დამოკიდებული პირის მიღება შეუძლია. მონიტორინგისას თავშესაფარში იმყოფებოდა 3 ქალი და 4 ბავშვი. გასულ წელს,

⁸ იგივე წერილი.

ადგილების ნაკლებობის გამო მაქსიმუმ 2-ჯერ ვერ მოხერხდა მსხვერპლის განთავსება თავშესაფარში. სხვა მიზეზით პირისთვის თავშესაფარს უარი არასდროს უთქვამს ბენეფიციარის მიღებაზე. **თბილისის** თავშესაფარს ერთდროულად 23 მოზრდილის მიღება შეუძლია და მასში 8 საცხოვრებელი ოთახია. **სიღნაღის** თავშესაფარს ერთდროულად 12 ბენეფიციარის მიღების შესაძლებლობა აქვს დამოკიდებულ პირებთან ერთად, ხოლო მონიტორინგისას დაწესებულებაში 3 ქალი და 4 ბავშვი ცხოვრობდა. **ქუთაისის** თავშესაფარს ერთჯერადად შეუძლია 8 სრულწლოვანი მსხვერპლის მიღება დამოკიდებულ პირებთან ერთად. მონიტორინგისას, თავშესაფარში იმყოფებოდა 22 პირი, მათგან 6 ქალი და 16 ბავშვი. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის თავშესაფარი დაკეტილი იყო 2017 წლის მაისიდან აგვისტომდე ხანძრის და შემდგომი სარემონტო სამუშაოების გამო. **გორის** თავშესაფარში სულ 8 ოთახია და ერთდროულად 22 პირის (სრულწლოვანი და დამოკიდებული პირები) მიღებაა შესაძლებელი. გორის თავშესაფარში გასაუბრება მოხდა მხოლოდ პერსონალთან, რადგან მონიტორინგისას ადგილზე არ იმყოფებოდა თავშესაფარის დირექტორი.

გამოკითხული 18 ბენეფიციარიდან, უმრავლესობა დადებითად აფასებს თავშესაფარის პირობებს და აღნიშნავენ, რომ მათი მოლოდინი შეესაბამებოდა თავშესაფარში არსებულ მდგომარეობას. ბენეფიციართა ნაწილი კი აღნიშნავს, რომ მათი წარმოდგენით, თავშესაფარი დაკავშირებული იყო უარყოფით წარმოდგენებთან და იქ გადასვლა მხოლოდ უკიდურესი ძალადობის შედეგად გადაწყვიტეს, თუმცა, მათი უარყოფითი მოლოდინი არ გამართლდა.

ბენეფიციართა უმეტესობას მეგობრული დამოკიდებულება აქვს როგორც თავშესაფარის პერსონალთან, ასევე სერვისით მოსარგებლე სხვა პირებთან. გამოკითხულმა ბენეფიციარებმა აღნიშნეს, რომ თავშესაფარში განთავსებისას მათ მიიღეს იურიდიული კონსულტაციები დოკუმენტაციის მოწესრიგების, განქორწინების, სარჩელის მომზადების, ალიმენტის და ექსპერტიზასთან დაკავშირებულ საკითხებში. ბენეფიციარებთან გასაუბრებისას ძირითადად გამოვლინდა ფსიქოლოგიური, ფიზიკური და ეკონომიკური ძალადობის გამოცდილება. მსხვერპლების თქმით, თავშესაფარი რომ არ არსებობდეს, ისევ ძალადობრივ გარემოში ან ქუჩაში მოუწევდათ ცხოვრება. შესაბამისად, თავშესაფარების მიერ გაწეული სერვისები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ძალადობის მსხვერპლებისთვის.

მონიტორინგისას გამოვლინდა, რომ ბენეფიციართა მგრძობელობის დონე საკმაოდ დაბალია განსხვავებული სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მქონე პირთა თავშესაფარში განთავსებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია თავშესაფარების ადმინისტრაციის მხრიდან დაიგეგმოს და განხორციელდეს შესაბამისი ღონისძიებები, რადგან სერვისით სარგებლობის შემთხვევაში მინიმუმამდე იქნას დაყვანილი დისკრიმინაციული დამოკიდებულებების გამოვლენა.

გამოკითხულ პირთა უმეტესობა აღნიშნავდნენ, რომ თავშესაფარში თავი კომფორტულად აგრძობინათ ელემენტარულმა საყოფაცხოვრებო პირობებმა და სიმშვიდემ, რასაც თან ახლდა სათანადო მხარდაჭერა და თანადგომა. ის მსხვერპლები, რომლებიც თავშესაფარში დამოკიდებულ პირებთან ერთად იმყოფებოდნენ, ამბობდნენ, რომ მათი არასრულწლოვანი

შვილები თავს უკეთ გრძნობენ ძალადობისგან დაცვით გარემოში. აღსანიშნავია, რომ წინა წლის მონიტორინგისგან განსხვავებით, გაზრდილია იმ ბენეფიციართა წილი, რომელიც ვერ ეგუება თავშესაფარში ცხოვრებას და უკმაყოფილოა გარემოთი და მიღებული სერვისებით, რაც არა სერვისების გაუარესებას არამედ ბენეფიციართა გაზრდილ მოლოდინებს უკავშირდება სახელმწიფო თავშესაფრების მიმართ.

ბენეფიციარების უმეტესობას აქვთ ინფორმაცია თავშესაფარში არსებული გასაჩივრების მექანიზმის და შემდგომი პროცედურების შესახებ, თუმცა არცერთ მათგანს არ გამოუყენებია საჩივრების ყუთი და პრეტენზიებს თუ პრობლემურ საკითხებს პირადი კომუნიკაციით აგვარებენ. აღნიშნული მექანიზმის გამოყენება ასევე, პრობლემას წარმოადგენდა 2016 წელს განხორციელებული მონიტორინგისას, რა დროსაც სახალხო დამცველმა შესაბამისი რეკომენდაციით მიმართა ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს, რათა თავშესაფრებში მომხდარიყო უკუკავშირისა და გასაჩივრების მექანიზმის გამართულად ფუნქციონირება და ანონიმური უკუკავშირის მიწოდების შესაძლებლობა. თუმცა, არსებული მექანიზმი კვლავ უფუნქციოა და პრაქტიკაში არ მუშაობს.

2.1. თავშესაფრის ადმინისტრაცია და პერსონალი

მონიტორინგის განხორციელებისას თავშესაფარში განთავსებული ბენეფიციარების გარდა, ინტერვიუები ჩატარდა თავშესაფრის დირექტორებთან და ადგილზე მყოფ პერსონალთან, რათა შესაძლებელი ყოფილიყო თავად პერსონალის მიერ იდენტიფიცირებული პრობლემების გამოვლენა.

სსიპ - ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის თავშესაფრებში შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმებულ პირთა ნუსხა შემდეგნაირია: თავშესაფრის უფროსი, იურისტი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, მედდა (4), ძიძა, ბუღალტერი, დამლაგებელი, დარაჯი (4) და მძღოლი.

თავშესაფრების დირექტორებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ ბენეფიციართა 80% მიმართავს ადმინისტრაციას ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით, რაც გარკვეულწილად ეჭვქვეშ აყენებს თავშესაფრის დატოვების შემდგომ ბენეფიციართა დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის მზაობას.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის თანამშრომელთათვის 2017-2018 წლებში ჩატარებულია 4 ტრენინგი სექსუალური ძალადობის საკითხებზე⁹, არცერთ თავშესაფარში არ გამოიყენება სპეციალური მიდგომები და მეთოდოლოგია სექსუალური

⁹ ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წერილი #07/800; 29.05.2018

ძალადობის მსხვერპლებთან მუშაობისთვის და მათთვის შეთავაზებული სერვისები სტანდარტული და ზოგადია.

ბათუმის თავშესაფარში პერსონალს გავლილი აქვს გადამზადება ოჯახში ძალადობის თემატიკასთან და ტრეფიკინგთან დაკავშირებით, თუმცა მათთან გასაუბრებისას გამოიკვეთა გარკვეული პრობლემები გენდერულად მგძნობიარე ტერმინოლოგიის გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მნიშვნელოვანია ფონდის მიერ თანამშრომელთა გადამზადება მოხდეს ამ მიმართულებითაც.

თბილისის თავშესაფრის პერსონალთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ დაცვის, ბუღალტერის და ძიძის გარდა ყველას აქვს გავლილი სპეციალური გადამზადება ოჯახში ძალადობის თემატიკასთან დაკავშირებით. მონიტორინგისას, თანამშრომელთა ნაწილმა გამოთქვა სურვილი მეტი ინფორმაცია ჰქონდეს ლგბტ+ საკითხებთან დაკავშირებით და აღნიშნეს, რომ კარგი იქნებოდა ცნობიერების ამაღლება ამ მიმართულებით.

სიღნაღის თავშესაფარში ტექნიკური პერსონალის გარდა, ყველას გავლილი აქვს სპეციალური გადამზადება ოჯახში ძალადობის თემატიკასთან დაკავშირებით. საინფორმაციო შეხვედრები ასევე ჩატარებულა რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან, აივ და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების შესახებ. პერსონალს არ გაუვლია სპეციალური გადამზადება ლგბტ+ საკითხებთან დაკავშირებით.

სიღნაღის თავშესაფარში მონიტორინგის განხორციელებისას არ იმყოფებოდა იურისტი და იმ დროისთვის ბენეფიციარებს მომსახურებას უწევდა იურიდიული კომპანია. თავშესაფრის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იურისტი იმყოფებოდეს ადგილზე, რათა დროული კონსულტაციები გაუწიოს ბენეფიციარებს. სიღნაღის თავშესაფარში, ბენეფიციარების მიერ პრობლემად დასახელდა სოციალური მუშაკისა და თავშესაფრების ბენეფიციარების ურთიერთობა. ბენეფიციარები პრობლემად ასახელებენ სიღნაღის სოციალური მუშაკის მხრიდან მგრძნობიარე დამოკიდებულების ნაკლებობას.

ქუთაისის თავშესაფრის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პერსონალს გავლილი აქვს გადამზადება ოჯახში ძალადობის საკითხებთან, ინფექციური/გადამდები დაავადებების, ბავშვთა საკითხების, კონფლიქტების მართვასა და მუშაობის პროცედურების სპეციალური სტანდარტების შესახებ. პერსონალს სპეციალური გადამზადება ლგბტ+ საკითხებთან დაკავშირებით, არ გაუვლია.

მისასალმებელია ძიძის მიერ „საყურადღებო ქცევის აღრიცხვის“ ჟურნალში ბენეფიციარებისა და ბავშვების მდგომარეობის შესახებ ჩანაწერები, რომელზეც შემდგომ ფსიქოლოგი ახდენს რეაგირებას. ასევე, ფსიქოლოგმა ჩამოაყალიბა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც თავშესაფარში მისი არყოფნის შემთხვევაში, მედდა აკეთებს გარკვეულ ჩანაწერებს ბენეფიციართა ქცევასთან დაკავშირებით, რადგან 24 საათის განმავლობაში იმყოფება თავშესაფარში.

გორის ადმინისტრაციისგან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ თანამშრომლებს გავლილი აქვთ გადამზადება ოჯახში ძალადობის საკითხებზე. დადებითად უნდა აღინიშნოს

რომ სოციალური მუშაკის მიერ ხდება იმ გარემოს შეფასება, რომელიც ბენეფიციარს ელოდება სახლში დაბრუნებისას.

2.2. თავშესაფრის შინაგანაწესი და მასთან დაკავშირებული საკითხები

მნიშვნელოვანია, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს თავშესაფარში განთავსების შემდეგ ამომწურავად განემარტოთ ინფორმაცია მათთვის გასაგებ ენაზე, არსებული წესებისა და უფლება-მოვალეობების შესახებ. ამასთან, თავშესაფრის სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს მშვიდი გარემო და ბენეფიციართა თავშესაფრიდან გასვლა/შემოსვლის საკითხი დარეგულირებული იყოს იმგვარად, რომ სერვისით მოსარგებლე პირთა უსაფრთხოება მაქსიმალურად იყოს დაცული.

ბენეფიციართა უმეტესობა აცხადებს, რომ თავშესაფარში განთავსებისას ზეპირად და წერილობით განემარტათ თავიანთი უფლება-მოვალეობები და მოქმედი წესები მათთვის მისაღებია. ბენეფიციარები აცნობიერებენ, რომ მოქმედი შეზღუდვები განპირობებულია მათივე უსაფრთხოების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ ბენეფიციართა უმეტესობას უსარგებლია თავშესაფრის კუთვნილი ტრანსპორტით სამსახურში, ექიმთან, სასამართლოში თუ სკოლაში ვიზიტის გამო.

თავშესაფრის შინაგანაწესთან და შეზღუდვებთან დაკავშირებით პრეტენზია გამოთქვა ზოგიერთმა ბენეფიციარმა, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ის მითითებები და წესები, რომელიც თავშესაფარშია დამკვიდრებული, მათთვის დამამცირებელია და სურთ თავი მეტად თავისუფლად იგრძნონ. ამასთან, ბენეფიციართა ნაწილმა აღნიშნა, რომ თავშესაფრის შინაგანაწესიდან გამომდინარე, ვერ შეძლეს ღამის საათებში დასაქმება.

2.3. ჯანმრთელობის დაცვა

სისტემატიური ძალადობა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ქალთა ჯანმრთელობას, რომელმაც შესაძლებელია გამოიწვიოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემები, სხვადასხვა ფუნქციური დარღვევები, ქრონიკული ტკივილის სინდრომი და ასევე გავლენა იქონიოს ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.¹⁰ შესაბამისად, თავშესაფრებში კომპლექსურად და უწყვეტად უნდა ხორციელდებოდეს მსხვერპლთათვის სოციალური, ფსიქოლოგიური და ჯანდაცვის სერვისების მიწოდება.

თავშესაფარში მყოფი ბენეფიციარები ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებთან დაკავშირებით მიმართავენ მედდას, რომელიც უზრუნველყოფს მათ შესაბამისი მედიკამენტებით¹¹. ყველა თავშესაფარი უზრუნველყოფს ბავშვებისთვის შესაბამისი აცრების

¹⁰ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/5/5304.pdf>

¹¹ აღსანიშნავია, რომ ბათუმის თავშესაფრის მედიკამენტების საცავი ფაქტიურად ცარიელი იყო და ადგილზე არ ჰქონდათ პირველადი საჭიროების მედიკამენტები.

ჩატარებას. ასევე, მათ უტარდება შესაბამისი სწავლება ბავშვის მოვლის/აღზრდის უნარ-ჩვევების შესახებ.

მონიტორინგისას, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო, თუ რამდენად ხდებოდა ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას თავშესაფარში მიღებისას. გამოვლინდა, რომ მათ შორის სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბენეფიციართა პირველადი შემოწმება თავშესაფარში განთავსებისას ხდება ზეპირი გასაუბრების საფუძველზე და კონკრეტული ანალიზების გზით სიღრმისეული შემოწმება ხდება მხოლოდ საექვო სიმპტომების იდენტიფიცირების შემთხვევაში. ამ კუთხით, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომელიც ეხება ბენეფიციართა ჯანმრთელობის სრულ შემოწმებას თავშესაფარში მიღებისთანავე, რათა თავიდან იქნას აცილებული შესაძლო დაავადებების/ინფექციების შემდგომი გავრცელება, კვლავ შეუსრულებელია.

ასევე, გამოიკვეთა პრობლემა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით არსებული სერვისების მიმართულებით. კერძოდ, ბენეფიციარს მშობიარობის შემდგომ პერიოდში არ უსარგებლია პოსტ-ნატალური სერვისით და არასდროს დაუტოვებია თავშესაფარი ამ მიზნით. ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა პრობლემური იყო ასევე ქუთაისშიც, სადაც პრობლემა გამოვლინდა ორსულობის ხელოვნურ შეწყვეტასთან დაკავშირებული სერვისის მიღების და აბორტამდე/აბორტის შემდგომი ზრუნვის ნაკლებობის კუთხით.

ამ ფონზე, ძალიან მცირეა იმ ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებსაც ჩაუტარდათ გამოკვლევები რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართულებით. ამასთან, მსხვერპლები არ ფლობენ ინფორმაციას სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისა და ინფექციური დაავადებების შესახებ. სერვისით მოსარგებლე სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა მცირე ნაწილს ჰქონდა ჩატარებული საჭირო გამოკვლევები.

ბენეფიციართა გამოკითხვისას ასევე შემოწმდა მათი კმაყოფილების ხარისხი ჯანდაცვის სერვისების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ბენეფიციართა ნაწილმა გამოწვევად დაასახელა ბიუროკრატიული და პროცედურული საკითხები, რომელიც დროში იწელება და მედიკამენტების დროულ მიწოდებას აფერხებს. თუმცა, ზოგადად, მსხვერპლები კმაყოფილნი არიან, მიღებული ჯანდაცვის სერვისებით და აღნიშნავენ, რომ მედლისთვის მიმართვის შემთხვევაში მათი საჭიროებები დაფარული იყო ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის და სტომატოლოგიური მომსახურების მიღებით.

მსხვერპლთა/ბენეფიციართა ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით მონიტორინგისას გამოვლენილი შედეგები მიუთითებს, რომ თავშესაფრებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფის საკითხს და მაქსიმალურად შეძლონ ბენეფიციართა საჭიროებების დაფარვა ამ მიმართულებით.

2.4. საცხოვრებელი პირობები და ჰიგიენა

გამოკითხულ ბენეფიციართა უმეტესობამ აღნიშნა, რომ კმაყოფილია თავშესაფარში განთავსებისას მიწოდებული პირადი ჰიგიენის საშუალებებითა, თუმცა ბენეფიციართა ნაწილმა უკმაყოფილება გამოთქვა მიწოდებული ნივთების ხარისხსა და რაოდენობასთან დაკავშირებით. მონიტორინგისას ასევე გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევაში პრობლემურია სეზონის და ასაკის შესაფერისი ტანსაცმლით/ფეხსაცმლით უზრუნველყოფის საკითხი¹².

მონიტორინგის შედეგად ვლინდება, რომ ბენეფიციარები თავად არიან პასუხისმგებელი საკუთარი ოთახების დასუფთავებაზე. იმის მიუხედავად, რომ თავშესაფრებმა გაითვალისწინეს სახალხო დამცველის რეკომენდაცია დამლაგებლის შტატის დამატებასთან დაკავშირებით, ის პასუხისმგებელია მხოლოდ ადმინისტრაციის ოთახების დასუფთავებაზე. რაც შეეხება საერთო ოთახებს, ბენეფიციარებს თავად აქვთ დაწესებული მორიგეობა მათ დასუფთავებაზე. აღნიშნული წესი ზოგიერთი ბენეფიციარისთვის მისაღებია და აღნიშნავენ, რომ ეს მათთვის განტვირთვის საშუალებაა, ხოლო ნაწილისთვის მიუღებელია და თვლის, რომ ეს დამლაგებლის ვალდებულებაა. ამასთან ბენეფიციართა ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამდა სისუფთავის დაცვასთან დაკავშირებით. თავშესაფრებში მეტნაკლებად უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობა/გაგრილების სისტემები, თუმცა რიგ თავშესაფრებში აღნიშნული ან გამორთული იყო, ან არ მუშაობდა.¹³

ზოგიერთმა ბენეფიციარმა სახალხო დამცველის წარმომადგენელთან გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ჰიგიენის საშუალებების დამატებისთვის ადმინისტრაციასთან თხოვნით მიმართვა, მათთვის დამამცირებელია. მნიშვნელოვანია, რომ თავშესაფრებმა გაითვალისწინონ ბენეფიციართა კონკრეტული საჭიროებები და სტანდარტული პაკეტების გარდა, რომელიც გულისხმობს ბენეფიციარებისთვის ჰიგიენური საშუალებების მიწოდებას, მათთვის უზრუნველყონ ყოველდღიური საჭიროებებისათვის ჰიგიენის ნივთების გადაცემა.

2.5. ფიზიკური გარემო და კვება

მონიტორინგის განხორციელებისას ასევე შეფასდა დაწესებულებების ფიზიკური გარემო, საყოფაცხოვრებო პირობები და კვების სტანდარტები. სასურველია, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები აშენებული იყოს შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით. თუმცა, საქართველოში კვლავ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რამდენიმე თავშესაფარი განლაგებულია ისეთ შენობა-ნაგებობაში, სადაც სხვა ტიპის ორგანიზაციებიცაა განთავსებული, რაც უსაფრთხოების საკითხს ეჭვქვეშ აყენებს.

¹² ბენეფიციარებისთვის ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით პრობლემები გამოვლინდა სიღნაღის თავშესაფარში.

¹³ ბათუმის თავშესაფარში მონიტორინგისას ცენტრალური გათბობა გამორთული იყო, თუმცა ბენეფიციართა ოთახების გათბობა უზრუნველყოფილი იყო დენის გამათბობლებით.

სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, საქართველოში არსებული 5 თავშესაფრიდან, კვლავ მოუგვარებელია თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და გორის ადგილმდებარეობისა და უსაფრთხოების საკითხები. ამასთან, თავშესაფრის ცნობადობის საკითხი, ყველაზე პრობლემური იყო გორში, სადაც ბენეფიციარებმაც დაადასტურეს, რომ დაწესებულების მისამართის გაგება მათი ნათესავებისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა. თავშესაფრების უსაფრთხოებაზე ძირითადად ზრუნავს დაცვა და თავშესაფარში მყოფი სხვა პერსონალი. აღსანიშნავია, რომ ერთადერთია სიღნაღის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაწესებულება (თავშესაფარი), რომელიც არის სრულიად იზოლირებული შენობა, საბავშვო მოედნით და ვიდეო კამერებით. გორის თავშესაფრის მონიტორინგის შედეგად ნათელია, რომ უნდა გაუმჯობესდეს შენობის ინფრასტრუქტურა, მოწესრიგდეს ეზოს საკითხი და ბავშვებისთვის განახლდეს სათამაშოები.

თავშესაფრებში ხელმისაწვდომია სერვისის მიმწოდებელთა საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი. მონიტორინგისას თავშესაფარში არსებული ჰიგიენის პროდუქტები საკმარისი იყო, ხოლო დღის მენიუ თანხვედრაში იყო და შეესაბამებოდა არსებული საკვების მარაგს, ყველა თავშესაფარში, გარდა ბათუმისა.¹⁴

გორის თავშესაფარში კვლავ მოუწესრიგებელი იყო სისუფთავისა და ჰიგიენის ნორმების დაცვა, ასევე აბაზანაში პრივატულობის არქონა. გარკვეული პრობლემები შეინიშნებოდა თბილისის თავშესაფარშიც საპირფარეშოებისა და აბაზანის სისუფთავის თვალსაზრისით.

სიღნაღისა და ქუთაისის თავშესაფრების გარდა, ავეჯი და შესაბამისი ინვენტარი ყველგან საჭიროებს განახლებას; ხშირ შემთხვევაში კი - რემონტს. განსაკუთრებით საგანგაშოა ბათუმისა და თბილისის თავშესაფრების მდგომარეობა. ქუთაისის ადმინისტრაციასა და პერსონალთან გასაუბრებისას, მთავარ გამოწვევად დასახელდა ეზოს პრობლემა, რომელიც საერთო სარგებლობისა და უსაფრთხოების საკითხს ეჭვქვეშ აყენებს.

ბენეფიციართა უმრავლესობა თავისუფალ დროს ატარებს საერთო ოთახში, უყურებს ტელევიზორს, ურთიერთობს ბავშვებთან, ან წიგნს კითხულობს. ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობას მოკლებულნი არიან ბათუმის, სიღნაღისა და გორის თავშესაფარში განთავსებული პირები. ამასთან, სიღნაღში პრობლემური იყო ტელევიზორით სარგებლობა. გამოკვეთილი პრობლემის მოგვარება შესაძლებელია გადაიჭრას ქალაქსა და მუნიციპალიტეტებში არსებულ ბიბლიოთეკებთან მჭიდრო თანამშრომლობით, რაც თავშესაფრებში განთავსებული პირებისთვის გართობის, განათლების თუ შემეცნების კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ასევე თავშესაფრებისთვის ბავშვების ასაკისა და ინტერესების შესაბამისი წიგნებითა და ინვენტარით მომარაგება. გარდა ამისა, სიღნაღის თავშესაფრის ადმინისტრაციასთან

¹⁴ ბათუმის თავშესაფარში სამზარეულოში კედელზე გამოკრულ დღის მენიუში ჩამოთვლილი საკვები არ შეესაბამებოდა იმ დღის საკვებს. ასევე, დაფიქსირდა ვადაგასული პროდუქტები და მაცივარი ფაქტიურად ცარიელი იყო.

გასაუბრებისას გაირკვა, რომ გამოწვევას წარმოადგენს ბენეფიციართა სეზონისა და ასაკის შესაბამისი ტანსაცმლით უზრუნველყოფა. აგრეთვე პრობლემაა ბიბლიოთეკაც, რადგან აქვთ მხოლოდ საბავშვო წიგნები და უფროსებისთვის შესაბამისი ლიტერატურა არ მოიძებნება.

თავშესაფრებში ასევე განთავსებულია საჩივრების ყუთი, რომელიც ბენეფიციართა კმაყოფილების დონეს აფასებს და მოწმდება სახელმწიფო ფონდის მონიტორინგის სამსახურის მიერ. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ყუთი ეკიდოს ბენეფიციარებისთვის ხელმისაწვდომ ადგილას და შესაბამის სიმაღლეზე (შშმ პირების შემთხვევაში). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი თავშესაფარი სრულად არ არის ადაპტირებული ფიზიკური ან სხვა ტიპის შეზღუდვის მქონე პირთათვის. შესაბამისად, შშმ პირთათვის განკუთვნილი ოთახები ძირითადად გამოიყენება ინფექციური დაავადებების მქონე ბენეფიციართა განსათავსებლად.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უზრუნველყოფის საკითხი, ეზოებისა და ბავშვებზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, საყოფაცხოვრებო ინვენტარი და შესაბამისი ბიბლიოთეკები. გარდა ამისა, **ბათუმის** თავშესაფარში პერსონალის მხრიდან ასევე იდენტიფიცირდა სხვადასხვა მომსახურების შესყიდვის პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია მანძილსა და დროსთან. კერძოდ, პრობლემას წარმოადგენს თბილისში არსებული კომპანიების სატენდერო მომსახურება, რადგან პროდუქტის მოწოდებას ჭირდება თბილისიდან გამოგზავნა, რაც დროში იწელება და პრობლემას აჩენს. აგრეთვე, პერსონალმა აღნიშნა შენობის და ეზოს საკითხი, როგორც მოუგვარებელი პრობლემა. ბათუმის თავშესაფარში დირექტორთან გასაუბრებისას მთავარ გამოწვევად დასახელდა შენობის და ინტერნეტის საკითხი.

მონიტორინგის განხორციელებისას, სახალხო დამცველის რწმუნებულების შეფასების გარდა, მნიშვნელოვანი იყო ბენეფიციართა კმაყოფილების შემოწმება კვებასთან დაკავშირებით. ბენეფიციართა ნაწილისთვის არსებული ულუფები საკმარისზე მეტია, ხოლო ნაწილისთვის ის არასაკმარისია¹⁵. ზოგიერთი ბენეფიციარის მხრიდან ასევე უკმაყოფილება გამოითქვა სეზონური ხილის სიმცირესა და ბოსტნულთან დაკავშირებით, რაც ბავშვებისთვის სპეციალური კვების უზრუნველყოფასთან არის დაკავშირებული.

2.6. განათლება და დასაქმება

თავშესაფრებში განთავსებული ბენეფიციარებისთვის, შესაბამისი ფიზიკური გარემოს უზრუნველყოფის გარდა, უმთავრესია გაჩნდეს ეკონომიკური გაძლიერების შესაძლებლობა.

¹⁵ საკვების რაოდენობასთან დაკავშირებით გარკვეული პრეტენზიები დაფიქსირდა გორის თავშესაფარში.

მონიტორინგისას მოწოდებული ინფორმაციის შედეგად, დასაქმების კუთხით თავშესაფრები თანამშრომლობენ Worknet-თან¹⁶, სოციალური მუშაკები წარმატებულად მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ Worknet-ის პროგრამებზე რეგისტრაციისას ბენეფიციარებს აღარ სჭირდებათ ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და ეს მოთხოვნა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთათვის გაუქმებულია.

მონიტორინგისას გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც სოციალური მუშაკები მუდმივად უთითებენ ბენეფიციარის სურვილის არქონაზე, რომელიც უკავშირდება მათი გადამზადების პროგრამებში ჩართვას. თავად ბენეფიციარები, რომლებიც ჩართულები არიან პროფესიული განათლების პროგრამებში, აცხადებენ, რომ მათთვის უმჯობესია მუშაობა, რადგან შემოსავალი სჭირდებათ და ორიენტირებულები არიან სამუშაოს პოვნაზე. რამდენიმე მათგანმა, ამის გამო უარიც კი განაცხადა განათლების მიღებაზე. აღნიშნული მიუთითებს იმაზეც, რომ თავშესაფარში განთავსების 3 თვიანი ვადა ძალიან მცირეა და ვერ უზრუნველყოფს მსხვერპლთა/ბენეფიციართა სრულ რეაბილიტაციას და ფინანსური დამოუკიდებლობისთვის გარანტიების შექმნას.

მივიჩნევთ, რომ თავშესაფრის პერსონალმა, განსაკუთრებით მულტიდისციპლინურმა გუნდმა კომპლექსურად უნდა იმუშაოს, რათა მსხვერპლებმა გააცნობიერონ პროფესიული კუთხით გაძლიერების აუცილებლობა და შეძლონ დამოუკიდებლად ცხოვრება შესაბამისი დასაქმების პროგრამების მოძიებით. სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ ბენეფიციართა 90% უჭირს საბუთების შევსება და აქვთ საშუალო არასრული განათლება. დასაქმებაზე უარს აცხადებენ ის პირებიც, რომლებსაც ჰყავთ მცირეწლოვანი შვილები და აქვთ მათი დატოვების პრობლემა. აგრეთვე პრობლემად დასახელდა გზის ფულის უქონლობა, რის გამოც მსხვერპლები ვერ ახერხებენ დასაქმებას.

მივიჩნევთ, რომ მნიშვნელოვანია თავშესაფრებმა გააძლიერონ კოორდინაცია და თანამშრომლობა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სერვისის მიმწოდებელ კომპანიებთან, რათა ბენეფიციარებს ჰქონდეთ არჩევანის შესაძლებლობა დასაქმებისას.

2.7. ფსიქო-რეაბილიტაცია და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება

თავშესაფრებში განთავსებული პირებისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების არსებობა და ბენეფიციართა ისეთი უნარებით აღჭურვა, რომელიც მათ მოამზადებს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

¹⁶ Worknet არის ელექტრონული სივრცე და შექმნილია სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, რათა ხელი შეეწყოს ადამიანების დასაქმებას და განვითარების შესაძლებლობას. კერძოდ, ეს არის პორტალი, რომელსაც სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო მართავს და მისი მიზანია შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარება, უმუშევრობის დონის შემცირება, შრომის ბაზრის მოთხოვნების გამოვლენა და შრომის ბაზარზე მიმდინარე ძირითადი ტენდენციების გამოვლენა.

გამოკითხული ბენეფიციარების უმრავლესობა კმაყოფილია ფსიქოლოგთან კონსულტაციებით და თვლის, რომ ეხმარებათ სიმშვიდის შენარჩუნებაში, ბევრი რამ ისწავლეს მისგან და ახლა უფრო მეტი იციან საკუთარი შესაძლებლობების შესახებ. ასევე, აღნიშნავენ, რომ თავშესაფარში მოსვლისას ძალიან დაბნეული და დათრგუნულები იყვნენ, ხოლო ფსიქოლოგისგან მიღებული კონსულტაციის შემდეგ დაიბრუნეს საკუთარი თავის რწმენა, გახდნენ თავდაჯერებულები და კომუნიკაბელურები.

ფსიქოლოგთან ვიზიტი დამოკიდებულია ბენეფიციარის სურვილზე, თუმცა მათი უმეტესობა იყენებს ამ შესაძლებლობას. შეხვედრები ტარდება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. ფსიქოლოგის სერვისით ყველაზე ნაკლებად სარგებლობენ ის ბენეფიციარები, რომლებიც დასაქმებულები არიან და დროში ვერ ემთხვევიან მას.

მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის კუთხით ასევე თვალსაჩინოა თავშესაფრების თანამშრომლობის ნაკლებობა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელიც გარკვეულწილად ბენეფიციარებისთვის გააჩნდა უფრო მეტ შესაძლებლობას და არჩევანს სხვადასხვა სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო თუ დასაქმების პროგრამებში ჩასართავად. თავშესაფრების ადმინისტრაცია გასაუბრებისას აცხადებდა, რომ მათ არ გააჩნიათ საკმარისი ბიუჯეტი ბენეფიციარებისთვის სახატავი ფურცლების, ან ფანქრების შესაძენად. სამწუხაროდ, მონიტორინგისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, თავშესაფრებში ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების რაოდენობა და ამ მიმართულებით დაგეგმილი აქტივობები იმდენად მცირეა, რომ თავშესაფრით მოსარგებლე პირებისთვის ვერ უზრუნველყოფს გრძელვადიანი და თანმიმდევრული რეაბილიტაციის პროგრამების შეთავაზებას.

სისტემურ პრობლემას წარმოადგენს აგრეთვე, თავშესაფარში განთავსების პირობებში მსხვერპლისთვის სოციალური დახმარების შეწყვეტა. აღნიშნული დიდი პრობლემაა ბენეფიციარებისთვის, რადგან თავშესაფრის დატოვების შემდეგ თავიდან უწყვეტ სტატუსის მოსაპოვებლად მთელი რიგი პროცედურების გავლა. ამასთან, ის ბენეფიციარები, რომლებსაც გამგეობა სთავაზობს ბინის ქირის დაფინანსებას, ხშირ შემთხვევაში ვერ იყენებენ ამ შესაძლებლობას, რადგან არ სურთ იმ გარემოში დაბრუნება, სადაც არსებობს მოძალადესთან შეხვედრის რისკი.

გარდა ამისა, თბილისის თავშესაფრის პერსონალის მხრიდან გამოწვევად დასახელდა სოციალური სააგენტოს ჩართულობის სიმცირე არასრულწლოვანთა ოჯახში ინტეგრაციის კუთხით, სარეაბილიტაციო ღონისძიებების არარსებობა და თანამშრომლობის სიმცირე პროვაიდერ/დამსაქმებელ ორგანიზაციებთან. ასევე, ადმინისტრაცია თვლის, რომ დაწესებულება შეუსაბამოა არასრულწლოვანი ძალადობის მსხვერპლი პირებისთვის და ისინი გადაყვანილ უნდა იქნან მცირე საოჯახო ტიპის ან სხვა სპეციალურ ბავშვთა დაწესებულებებში. სიღნაღის თავშესაფრის დირექტორი კი აღნიშნავს, რომ ღონისძიებებისა და მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართვის სიმცირე უკავშირდება რეგიონში

არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციების სიმცირეს და ძირითადად დამოკიდებული არიან მხოლოდ მუნიციპალიტეტის მიერ შემოთავაზებულ ღონისძიებებზე.

გარდა ამისა, ბენეფიციარები მუდმივად უსვამდნენ ხაზს იმ ფაქტს, რომ ვერ გრძნობენ თავს გაძლიერებულად, რადგან აქვთ დროებითი საცხოვრებლის პრობლემა და შვილებთან ერთად მარტო ცხოვრების შემთხვევაში არ არიან მზად აიღონ ფინანსური ვალდებულებები. ასევე, თვლიან რომ თავშესაფარში ყოფნის დრო არის ძალიან ცოტა და სასურველია არსებობდეს სპეციალური სახლები, სადაც თავშესაფრის დატოვების შემდეგ იცხოვრებდნენ უფასოდ, მსხვერპლის სტატუსის საფუძველზე.

ძალადობის მსხვერპლი ქალისთვის პრობლემურია თავშესაფრის დატოვების შემდეგ საჭირო სერვისებით სარგებლობა. კერძოდ, ქალებს არა აქვთ ბავშვის დატოვების შესაძლებლობა და მაგალითად ბათუმში არ არსებობს უფასო ბაგა-ბაღი. გამოწვევას წარმოადგენს ისიც, რომ ბათუმის მერია არ აფინანსებს ბინის ქირას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხრიდან მხარდაჭერი ინიციატივები მწირია.

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების ნაკლებობა ასევე პრობლემას წარმოადგენდა 2016 წელს განხორციელებული მონიტორინგისას. შესაბამისად, ბენეფიციარების ისეთ პროექტებში ჩართვა, რომელიც უზრუნველყოფს მათ ფსიქო-რეაბილიტაციას და მოამზადებს დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის, კვლავ გამოწვევად რჩება და სახელმწიფო ფონდის მხრიდან საჭიროებს მნიშვნელოვან ყურადღებას.

3. ოჯახში ძალადობის კრიზისული ცენტრების მომსახურების შეფასება

კრიზისული ცენტრი სავარაუდო მსხვერპლთა და მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილია, სადაც უზრუნველყოფილია გადაუდებელი სერვისებით სარგებლობა. კრიზისული ცენტრით სარგებლობა შეუძლიათ იმ პირებს, რომლებსაც არ აქვთ მინიჭებული მსხვერპლის სტატუსი, ან არიან სავარაუდო მსხვერპლები. დღესდღეობით საქართველოში ფუნქციონირებს 3 სახელმწიფო კრიზისული ცენტრი: ქუთაისში, გორში და თბილისში.

ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრში ჩარიცხვას ექვემდებარება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და სექსუალური ხასიათის ძალადობის (შემდგომში ძალადობის) მსხვერპლი/დაზარალებული/სავარაუდო მსხვერპლი (მათზე დამოკიდებულ პირებთან ერთად).

კრიზისული ცენტრების მიერ გაწეული სერვისი ფარავს შემდეგ საჭიროებებს:


- ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია;
- სამედიცინო მომსახურების ორგანიზება/მიღება;
- სამართლებრივი დახმარება;
- საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურება;

- საჭიროების შემთხვევაში, სხვა მომსახურება.

მონიტორინგის ფარგლებში მოხდა 3 კრიზისული ცენტრის შემოწმება და იქ არსებული სერვისების შეფასება. მონიტორინგი განხორციელდა ქუთაისის, გორის და თბილისის კრიზისულ ცენტრებში. აღსანიშნავია, რომ სადღეღამისო საცხოვრისით ბენეფიციარებს სერვისს მხოლოდ თბილისის კრიზისული ცენტრი სთავაზობს. რაც შეეხება გორის და ქუთაისის კრიზისულ ცენტრებს, იქ შესაძლებელია მხოლოდ დღის სერვისით მიღება. გორისა და ქუთაისის თავშესაფრებში დასაქმებული პერსონალი პარალელურად მუშაობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებში, განსხვავებით თბილისის კრიზისული ცენტრისგან.

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისგან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2017-2018 (I კვარტალი) წლებში კრიზისულ ცენტრების სერვისებით მოსარგებლე ბენეფიციართა საერთო რაოდენობა შეადგენდა 171 პირს, მათ შორის: 102 სრულწლოვანი, 2 არასრულწლოვანი და 67 დამოკიდებული პირი.

ცხრილი N2: კრიზისული ცენტრების მიერ 2017 წელს გაწეული მომსახურებები



კრიზისული ცენტრების სპეციფიკიდან გამომდინარე, ძალადობის მსხვერპლებს ყველაზე ხშირად სჭირდებათ სამართლებრივი კონსულტაცია და ფსიქოლოგთან გასაუბრება. ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების მსგავსად, ყველაზე იშვიათად ბენეფიციარები იღებენ სამედიცინო მომსახურებას.

ქუთაისის კრიზისული ცენტრი გაიხსნა 2017 წლის 8 დეკემბერს და ის მდებარეობს შენობაში, სადაც განთავსებულია რამდენიმე დაწესებულება. იმ შემთხვევაში, თუ ცენტრში იმყოფება ისეთი პირი, რომელსაც ესაჭიროება დროებითი საცხოვრისი, მისი რეფერირება ხდება თბილისის კრიზისულ ცენტრში, სადაც შესაძლებელია ღამის გათენება. კრიზისული ცენტრის

პერსონალი აცხადებს, რომ ამ დრომდე მხოლოდ 5 პირს გაუწიეს კონსულტაცია. ცენტრის შესახებ ინფორმაციას ავრცელებენ არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიციის და სოციალური მომსახურების სააგენტოს მეშვეობით.

გორის კრიზისულ ცენტრში სერვისების მიწოდება ბენეფიციართათვის იდენტურია და ის გაიხსნა 2018 წლის 26 იანვარს. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული კრიზისული ცენტრის მომსახურება გაეწია 8 სრულწლოვან და 9 არასრულწლოვან ბენეფიციარს. გორის კრიზისული ცენტრი ბენეფიციარებს სთავაზობს ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობას 300 ლარის ფარგლებში და აღნიშნული მოიცავს როგორც მედიკამენტებით უზრუნველყოფას, ასევე სხვა სახის სამედიცინო დახმარებას.

რაც შეეხება **თბილისის** კრიზისულ ცენტრს, მონიტორინგის განხორციელებისას ძირითადი ინფორმაცია მიღებული იქნა ადმინისტრაციისგან, რადგან დასაქმების მიზეზით არ იმყოფებოდა არცერთი ბენეფიციარი. შენობა უზრუნველყოფილია ინდივიდუალური თუ პერსონალისთვის განკუთვნილი ოთახებით, სამზარეულოთი, სათავსოებით, შშმ პირისთვის ადაპტირებული ოთახით და კეთილმოწყობილი ეზოთი. შენობაში არის 7 საცხოვრებელი და ერთი იზოლატორი, რომელსაც გააჩნია საკუთარი საპირფარეო და აბაზანა. დაწესებულებაში დაცულია ჰიგიენის ნორმები და შენობა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. უკუკავშირის და გაპროტესტების ფორმების მექანიზმი თბილისის კრიზისულ ცენტრშიც უფუნქციოა. კედლებზე თვალსაჩინოდ არის გამოკრული შესაბამისი სერვისის მიწოდებელი ორგანიზაციების ცხელ ხაზის ნომრები და საკონტაქტო ინფორმაცია.

თბილისის კრიზისული ცენტრში ხდება როგორც სავარაუდო მსხვერპლების, ისე მსხვერპლების განთავსება. თავშესაფრის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ გახსნის დღიდან მხოლოდ 1 შემთხვევაში არ მოხდა პირის ძალადობის მსხვერპლად იდენტიფიცირება. ცენტრში სტანდარტულად დასაქმებულია 20 თანამშრომელი, ცხელი ხაზის ოპერატორების (4) ჩათვლით და ყველა მათგანს აქვს გავლილი გადამზადება ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

კრიზისულ ცენტრში დასაქმებულ პერსონალს აქვს იდენტური მოვალეობები და პასუხისმგებლობები, როგორც განსაზღვრულია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მომუშავე პირებისთვის.

ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობა თავშესაფრების მსგავსად მოწმდება ზეპირი გამოკითხვის საფუძველზე და დაავადების გამოვლენის შემთხვევაში ხდება მისი რეფერირება შესაბამის კლინიკაში. ჯანმრთელობის საჭიროებებს კრიზისული ცენტრი ბენეფიციარებს 300 ლარიანი ლიმიტის ფარგლებში უკმაყოფილებს, ხოლო თავშესაფრით მოსარგებლე პირისთვის თანხის ზედა ზღვარი დაწესებული არ არის.

კრიზისული ცენტრის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ ბენეფიციარების ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე თანამშრომლობენ ყველა ორგანიზაციასთან, როგორც სამთავრობო ისე არასამთავრობო დონეზე და მაქსიმალურად იყენებენ არსებულ რესურსს. ამის

მაგალითად ფსიქოლოგის მხრიდან დასახელდა „თანასწორობის მოძრაობასთან“ თანამშრომლობის გამოცდილება და აღინიშნა, რომ ლგბტ+ სპეციფიკა გათვალისწინებულია როგორც სპეციალური მეთოდოლოგიის დოკუმენტით, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისითაც. თავშესაფარში არის ბიბლიოთეკა, და წიგნები ხელმისაწვდომია სხვადასხვა ენაზე.

მონიტორინგის ფარგლებში ასევე მოხდა ცხელი ხაზის ოპერატორთან გასაუბრება, რომელიც პასუხისმგებელია უპასუხოს ცხელი ხაზის ზარებს და შესაბამისი კონსულტაცია გაუწიოს ძალადობის სავარაუდო მსხვერპლებს ან დაინტერესებულ პირებს. ცხელ ხაზზე შესაძლებელია კონფერენციის რეჟიმში ჩაერთოს 7 ენის თარჯიმანი საჭიროებისამებრ და 24 საათის განმავლობაში. ცხელ ხაზზე დღეში საშუალოდ 5-7 ზარი ფიქსირდება და ყველაზე ხშირად ესაჭიროებათ ზოგადი კონსულტაციები და დამცავი მექანიზმებისა და სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. თავად ადმინისტრაციის მხრიდან სისტემურ პრობლემად დასახელდა სოციალური შემწეობის შეწყვეტის საკითხი, რომლის აღდგენაც დაკავშირებულია შემდგომ პროცედურულ სირთულეებთან. იგივე პრობლემა ასევე გაჟღერდა სხვა თავშესაფრების მხრიდანაც.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრების მომსახურება ბენეფიციარებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია. თუმცა, სამომავლოდ მნიშვნელოვანია მეტად დაიხვეწოს არსებული სერვისი და გაიზარდოს მისი დაფარვის არეალი, რათა საცხოვრისის პარალელურად მსხვერპლებმა შეძლონ იურიდიული, სოციალური თუ სამედიცინო სერვისებით სარგებლობა. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მსხვერპლთათვის ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობის შეთავაზებას.

4. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისების შეფასება

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრების) მონიტორინგი ჩატარდა თბილისა და ბათუმში. მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა არსებული სერვისების შეფასება და ტრეფიკინგის მსხვერპლთა კმაყოფილების დონის განსაზღვრა.


თბილისსა და ბათუმში არსებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებები (თავშესაფრები) წარმოადგენენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურულ ერთეულს. თავშესაფარში ჩარიცხვას ექვემდებარება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი/დაზარალებული (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად). ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების თავშესაფრები ბენეფიციარებს უზრუნველყოფენ შემდეგი მომსახურებებით:

- სადღეღამისო საცხოვრისით (თავშესაფარში);
- ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაციით;

- სამედიცინო მომსახურების ორგანიზებით/მიღებით;
- სამართლებრივი დახმარებით;
- საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნის მომსახურებით.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისგან მოწოდებული ინფორმაციით, ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრით და იქ არსებული მომსახურებებით 2017-2018 წლებში მხოლოდ ქალებმა ისარგებლეს. საგულისხმოა, რომ თბილისსა და ბათუმის თავშესაფარში, ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების კუთხით გამოვლენილი პრობლემები და გამოწვევები იდენტურია. მხოლოდ, ბათუმის თავშესაფარში ძირითადად ეთნიკურად არა ქართველი ტრეფიკინგის მსხვერპლები სარგებლობენ მომსახურებით, და შესაბამისად, თარჯიმნის პრობლემა იკვეთება ამ თავშესაფარში.

ცხრილი N3: ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრით და სერვისებით მოსარგებლეთა სტატისტიკა 2017-2018 წწ. (I კვარტალი)



მონიტორინგის განხორციელებისას არც თბილისის და არც ბათუმის თავშესაფრებში არ იმყოფებოდნენ ბენეფიციარები. შესაბამისად, მონიტორინგის მიგნებები დაეყრდნო თავშესაფრების დირექტორებთან გასაუბრებას.

მოწოდებული ინფორმაციით, თავშესაფრებში მიღება ხდება დაზარალებულად ცნობის საფუძველზე და ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების შედეგად.

თბილისის თავშესაფარში ერთდროულად 3 პირის მიღების შესაძლებლობა აქვთ (ბენეფიციარი და დამოკიდებული პირი). საგულისხმოა, რომ 2017-2018 წელს მხოლოდ სექს. ტრეფიკინგის მსხვერპლებმა (3 ქალი) ისარგებლეს თავშესაფრის სერვისებით, თუმცა

გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მსხვერპლები იღებენ საჭირო სერვისებს (თავშესაფრის და ჯანმრთელობის დაცვის) და თავშესაფარს და მოკლე ვადაში ტოვებენ¹⁷. ბენეფიციარებს, მონიტორინგის პერიოდის განმავლობაში არ მიუმართავთ ვადის გაგრძელების მოთხოვნით და არ უსარგებლიათ ფსიქოლოგისა და იურიდიული დახმარების სერვისებით.

ბათუმის თავშესაფარში აცხადებენ, რომ სექსუალური ტრეფიკინგის მსხვერპლთა მიღება მკვეთრად არის შემცირებული წინა წლებთან შედარებით. 2017-2018 წლებში არც ერთ მსხვერპლს არ მიუმართავს ადმინისტრაციისთვის თავშესაფარში ცხოვრების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

ბათუმის თავშესაფარში ერთდროულად 5 ზრდასრულის და 10 დამოკიდებული პირის მიღებაა შესაძლებელი. თავშესაფარს არა აქვს სპეციალურად გამოყოფილი ოთახი ინფექციური დაავადებების მქონე პირთათვის, თუმცა, ამის მიუხედავად თავშესაფარს მომსახურება გაუწევია უსაფრთხოების შესაბამისი ზომების დაცვის გარეშე. თარჯიმნის სერვისის იყენებენ საჭიროების შემთხვევაში, თუმცა ფსიქოლოგი ვერ მუშაობს მსხვერპლებთან ენის არ ცოდნის შემთხვევაში. ბათუმის ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრის პერსონალს გავლილი აქვს გადამზადება ადამიანით ვაჭრობის/ტრეფიკინგის საკითხებზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრები საჭიროებიდან გამომდინარე ძირითადად მორგებულნი არიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სერვისებზე და ნაკლები ყურადღება ექცევა ადამიანით ვაჭრობის/ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურებას, მათ შორის აღსანიშნავია, რომ თარჯიმნით უზრუნველყოფისა და ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებთან დაკავშირებული სერვისების გაცემა მინიმუმამდეა დაყვანილი. ასევე, ადმინისტრაციის შეფასებით, ტრეფიკინგის მსხვერპლები თავშესაფარში მოკლე ვადით რჩებიან, რაც ართულებს სრულფასოვანი სერვისების შეთავაზებას, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურება თბილისსა და ბათუმში საჭიროებს დახვეწას და საჭიროებებზე მორგებული სერვისების შეთავაზებას ბენეფიციარებისთვის.

რეკომენდაციები

მსხვერპლის სტატუსის იდენტიფიცირების ჯგუფს:

- მოხდეს სტატუსით მოსარგებლე პირთა შესახებ ინფორმაციის დამუშავება, სტატისტიკის წარმოება და შესაბამისი სისტემური ხარვეზების გამოვლენა;

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს:

¹⁷ არაქართველი მსხვერპლების შემთხვევაში, თავშესაფრის დატოვება დაკავშირებულია მიგრაციის სამსახურის მიერ მსხვერპლთა მოქალაქეობის ქვეყანაში რეპატრაციასთან.

- თავშესაფრებში დაიხვეწოს უკუკავშირისა და გასაჩივრების მექანიზმის გამართულად ფუნქციონირება;
- თავშესაფარში განთავსებული პირების ჯანმრთელობის შემოწმება მოხდეს იმგვარად, რომ ამან საფრთხე არ შეუქმნას თავშესაფრით მოსარგებლე სხვა პირებს; კერძოდ, უზრუნველყოფილი იქნას ჯანმრთელობის სრული შემოწმება;
- თავშესაფრებში უზრუნველყოფილი იქნას ბენეფიციარების მომარაგება ასაკის და სეზონის შესაბამისი ტანსაცმლით/ფეხსაცმლით/საცვლებით;
- მეტი ყურადღება დაეთმოს თავშესაფრების ეზოების, ინვენტარისა და ბავშვებზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის საკითხს;
- სატენდერო მომსახურებების შესყიდვა მოხდეს რეგიონულ დონეზე, რათა თავიდან იქნას აცილებული საჭირო ნივთების, თუ კვების პროდუქტების დროული მიწოდება;
- თავშესაფრებში მოწესრიგდეს ბიბლიოთეკები და აღიჭურვოს ასაკის და ენის შესაბამისი ლიტერატურით;
- მოხდეს თავშესაფრების ფიზიკური გარემოსა ადაპტირება, რათა შეზღუდულ შესაძლებლობათა მქონე პირთა მომსახურებისთვის სერვისის გაცემა დაიხვეწოს მაქსიმალურად;

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) ადმინისტრაციას:

- თავშესაფრებმა მაქსიმალურად უზრუნველყონ სერვისის გამართულად მიწოდება ყველა ტიპის სოციალური ფენისა თუ გამოცდილების მქონე ბენეფიციარისთვის და აღნიშნული სერვისები იყოს მათ საჭიროებებზე მორგებული;
- თავშესაფრებში დასაქმებული პერსონალი გახდეს უფრო პრო-აქტიური, რათა მსხვერპლებმა მაქსიმალურად შეძლონ სერვისების მიღება;
- თავშესაფრებმა მეტად შეუწყონ ხელი ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სერვისის მიმწოდებელ კომპანიებთან თანამშრომლობის გაძლიერებას და კოორდინაციას ბენეფიციართა ფსიქო-სოციალური, საგანმანათლებლო და დასაქმების შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად;
- თავშესაფრებმა მეტი ყურადღება დაუთმონ სისუფთავისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
- თავშესაფრებმა აქტიურად ითანამშრომლონ ადგილობრივ ბიბლიოთეკებთან, რადგან შეძლონ არსებული წიგნების მარაგის განახლება, ხოლო მათი არ არსებობის შემთხვევაში, ასაკისა და ინტერესების შესაბამისი ბიბლიოთეკის უზრუნველყოფა;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მაქსიმალურად უზრუნველყონ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ინფორმირება ქვეყანაში არსებული სახელმწიფო თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების სერვისების შესახებ;

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- სოციალური შემწეობის მიღების და გაუქმების პროცედურები დარეგულირდეს იმგვარად, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლისთვის, თავშესაფრის დატოვების შემდგომ, სტატუსის აღდგენა შესაძლებელი იყოს ავტომატურად;

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ორგანოებს:

- ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის/დაზარალებულებისთვის შეთავაზებული ბინის ქირით უზრუნველყოფა მოხდეს იმგვარად, რომ ეს იყოს დამოკიდებული არა მათ იურიდიულ, არამედ ფაქტიურ მისამართზე;